№ 208. ოკტომბერი, ოთხშაბათი. 1866—1881

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში, „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება“-„ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდთან. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივი ასოებით მოკრძალებით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივი ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. უმეტესად წერილს რედაქცია დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ბბ. მუშტაროთ ჩვენი ფირმის ჩაისა

უმორჩილესად ვსთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლებზე

ასოთ ძ ძ ს ძმანი ძ. ძ ს. პაპოვები?

(20—7) სავაჭრო სახლი მოსკოვში.

საზაფხულო თეატრში

შაბათს, 10 ოკტომბერს

პირველი დებიუტი გ. ალექსეევისა-მესხიევისა და ქ. ბებურიშვილისა.

ქართული დრამმატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

შეშლილია

დრამა 2 მოქმედებ.

II

გულმა იგრძნო

კომედია 1 მოქმედებად.

III

დივერტისმენტი.

ქ. ბებურიშვილისა წაიკითხავს სცენებს გურულთ ცხოვრებიდამ.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„საქართველოს ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი,** 5 ღვინობისთვეს. გაზ. „ახალ დროებაში“ სწერია: ექსპერტებს ჰქონდათ მოლაპარაკება იმაზედ, რომ გამოსასყიდველი ვალები ეპატიოს გლეხებს; ეს იქნება ხელმწიფის ახალი მოწყალებათ.

„პეტერბურღის უწყებებში“ სწერენ, რომ დიდ მარხვაში თეატრები დაიკეტებათ.

რკინის გზის საზოგადოებათ მიეცემათ კიდევ ახალი უპირატესობა ტარიფის შესახებ.

## ქართველები საქართველოში.

თბილისი, 6 ოკტომბერს.

ბევრი ჩვენგანი შურის-თვალით შესცქერიან უცხო ტომის ხალხის გამდიდრებასა და დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში; ბევრი ბრაზითა და გაჯავრებით ამბობს: —„პარდმოხვეწილან, ჩვენი სიმდიდრე ხელში ჩაუგდიათ და ჩვენ კი ხელ-ცარიელები ვრჩებით, ვღარიბდებითო!“

ამ გვარი შური და ბრაზი, ამ გვარი ცარიელი გოდება ჩვენ ვერას გვიშველის; მარტო გაჯავრებით რო საქმე გარიგდებოდეს, ამაზე უადვილესი რაღაა! გულ-ხელ დაკრეფილი რო შევაჩერდეთ და ვიტიროთ, ბრაზები გადმოვყაროთ—რად მდიდრდებიან ცხრა მთის გადაღმიდამ გადმოვარდნილები, რად იძენენ ისინი ჩვენს სიმდიდრეს და ჩვენ რად ვრჩებით ასეო,—ამით ჩვენ არა შეგვეძინება-რა, რაც კიდევ უარესად არ დაგვაკლდება.

ათასი საშუალება და გზაა რომლისამე ხალხის წამოსაყენებლად და წარმატებისათვის, რადგან ხალხის დაცემის მიზეზიც ათასია. მაგრამ, როდესაც ამ გადმოხვეწილების თაობაზედ, იმათ გაკეთებაზედ და ჩვენს საკუთარ სიწამხდრეზედ ვლაპარაკობთ, ჩვენ აქ, სხვათა შორის, ერთი ღონის-ძიება, ერთი საშუალება გვაგონდება, რომელიც უეჭველად დაგვეხმარება ამ შემთხვევაში.

რითი შეიძინეს ის სიმდიდრე, ის ნივთიერი კეთილ-დღეობა ჩვენში გადმოსულებმა? უეჭველია, რომ ზოგიერთისაგან ამ სიმდიდრისა და კეთილდღეობისა კეთილის გზით, პატიოსანის შრომით და ოსტატობით არ არის შეძენილი. ვინ არ იცის ზოგიერთების სიყალბე პოდრიადებში და ვაჭრობაში; ვინ არ იცის, რომ ძალიან, ძალიან ბევრი ამათგანი სულ ყალბი ბილეთებით გამდიდრდა; ვინ არ იცის გაკოტრების და ცეცხლის წაკიდების ამბავი? უველა ამ გვარი უპატიოსნო და საძაგელი ქახრაკი დაუტრიალებიათ, არაფერი არ დაუზოგავთ ამათ, გული გაუქვავებიათ, გრძნობა დაუხშვიათ, კაცობრიობა დაუკარგავთ ფულის, სიმდიდრის დევნაში და ბოლოს, რითაც არის, მოუპოებიათ, შეუძენიათ ეს სიმდიდრე.

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენს ხალხსაც ამ გვარ გზაზე დადგომა, ამ გვარის ღონის-ძიებით გამდიდრება ერჩიათ. ახლანდელი სიღარიბე და კეთილშობილობა ათასჯერ გვირჩევნია ამ გვარად შეძენილ კეთილდღეობასა.

მაგრამ ამათ, ამ გადმოხვეწილებს აქვთ ერთი თვისება, რომლის წაბაძვა არც ჩვენ გვაწყენს. ეს გახლავთ ხასიათის სიმტკიცე, ენერგია და მომჭირნეობა, ყაირათი.

ჩვენი უბედურება ეს არის, რომ ერთს რომელსამე საქმეს რო შევუდგებით, თუ იმ წამსვე მოვათავსეთ და გავაკეთეთ, ხომ კარგი, თუ არა და ბევრი თავის მტვრევა და შრომა არ გვიყვარს, თავს ვანებებთ, ვტოვებთ და ახლა სხვას ამ გვარადვე გულ-ავარდნილად შევუდგებით. საქმის კაცები კი ასე არ იქცევიან: საქმეს დაიწყებენ და თუ კი როგორმე მოხერხდა ამ საქმის გარიგება, არაფერს არ ზოგვენ, არც შრომას, არც დროს, არც შეცადინეობას.

მეორე ჩვენი უბედურებაც კიდევ ის არის, რომ მომჭირნეობა, ყაირათი, დამზოგაობა არა გვაქვს. ზანა ცოტაა და ცოტა ყოფილა ქართველებში მდიდარი და შეძლებული? მაგრამ რა გამოვიდა? ახლანდელი მდიდარი ქართველი თან-და-თან ღარიბდება, თან-და-თან ვალში და ვახშში ვარდება და ძველი მდიდრები დიდი ხანია დაღარიბებულან. მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ ქართველს ანგარიშის, დაზოგვის თავი არა აქვს: დღეს რომ თუმანი აქვს ჯიბეში, ორ თუმანს ხარჯავს სულ უბრალო, უნაყოფო რაზედმე, და ხვალინდელ დღეზე, ვითარცა ფრინველი ზეცისა, არასა ზრუნავს. სხვები კი პირ-იქით ისე ახერხებენ საქმეს, რომ, როცა თუმანი აქვთ ჯიბეში, ნახევარს ხარჯვენ და ნახევარსაც ან „შავი დღისათვის“ ინახვენ და ან სხვა საქმის დასაწყებად, სხვა მოგებისათვის გადასდებენ.

ამ ნაირად შრომაში გამტანობა, ენერგია და შეძენილის რიგიანად შენახვა და მოხმარება—არის ორი ღონის-ძიება, რომელთაგან, სხვათა შორის, ახლანდელი ქართველი თავის სიღარიბიდამ გამოსვლას, კეთილდღეობას უნდა მოელოდეს.

და თუ ასე ბევრს ვლაპარაკობთ ჩვენ ამ ნივთიერ ღონის-ძიებაზე, ამ კეთილ-დღეობაზედ, იმიტომ ვლაპა-

## ერთი შენიშვნა ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

(ბიოგრაფიის მასალა)

ძლივს ერთი ჩვენი მწერლის საბიოგრაფიო მასალა წავიკითხეთ „დროების“ 206 ნომერში! იქამომდე მწერლების საბიოგრაფიო მასალა სრულიად შეუმუშავებელია, დრო მიდის და თან მიაქვს ის მცირეოდენი ცნობა, რაც შეეხება ამ საუკუნის პირველ დროის მწერლებსა, მაგალითად ალექსანდრე ჭავჭავაძეს, პეტრე ლარაძეს, გიორგი ერისთავს, სოლომონ დოდაევს და სხვათა. ამისათვის ვგონებ—ფრიად სასიამოვნო მოვლინებად უნდა მივაჩნდეს პატივცემულის კოსტანტინე მამაცოვის ნაწერი მასალა ბარათაშვილის შესახები.

ეს შემთხვევა კარგი მიზეზია ვინც რამ იცის, თუნდა ცოტაოდენი ანეგდოტიც იყოს, დაბეჭდოს სადმე.

ბატონის კ. მამაცოვის ნაწერი ერთს მიზეზს მაძლევს პატარა შენიშვნა გაუკეთო მისგან მოხსენებულსა, რომელიც შეეხება ბარათაშვილის გარდაცვალების ჟამსა.

მოხსენებულია წერილში, რომ პოეტი გარდაიცვალა 1847 წელსა აგვისტოს 21-სა,

ერთი წერილი ვიცი ბარათაშვილის გულითადის მეგობრისა, რომელიც დასტირის პოეტის დაკარგვას. ეს წიგნი დაწერილია თბილისში 1846 წელს 19 იანვარს. შიგ წიგნში არ არის მოხსენებული—როდის, რომელს თვეში გადიცვალა, მაგრამ ცხადია, რომ პოეტი ან ამ 1846 წლის დასაწყისში უნდა გადაცვლილიყო, ან 1845 დამლევს.

«დროების» ფელეტონი, 7 ოკტომბ.

## ისწავლეთ ძმნო...

(თბილისის კლასიკურის გიმნაზიის იუბილეის გამო სეკტემბრის 27-სა 1881-სა წელსა).

ისწავლეთ, ძმნო, ნუ დაზოგავთ ღვაწლსა და შრომას,
ნათლის თვალითა ერიდენით ცრუ გზას და ცთომას;
განათლდით სწავლის ლამპარითა, ისწავლეთ კვალად:
სწავლა არს მადლი მღვთაებისა, ცხოველი მარად.
სწავლა კაცს აძლევს მის უმაღლეს საჭიროებას:
პურს უპუროსა და მონასა თავისუფლებას!
სწავლა აიყვანს თქვენს გონებას იმ სიმაღლესა
სიდამაც განსჭვრეტს და მისწვდება დიდს განგებასა,
მის უსამზღვროსა, მშვენიერსა, დიდსა ქმნილებას
მის დიდს სიბრძნესა და დაფარულს ჭეშმარიტებას.
სწავლა არს ძალა, დიდი ძალა, ძალა მღვთიური;
სწავლული იყოს თუმცა ღონით სუსტი, უძლური,
მისია მაინც ეს ქვეყანა და მის დიდება;
ვით მზე ცხოველი, ცხოველია სწავლის უკვდება.
თქვენის სამშობლოს თქვენკენა რბის გული და თვალი;
ისწავლეთ, ძმნო, თქვენთ ხელთ არის მის მომავალი.

ვ. ო.

რაკობთ, რომ ახლანდელს დროში, ამის თქმა თითქმის შეუცდომელად შეიძლება, ბურთი და მოედანი იმასა აქვს, ვისაც ცოტაოდენი მაინც ნივთიერი ძალა, ეკონომიური კეთილ-დღეობა შეუძენია. ამაზედ არის დამოკიდებული გონებითი განვითარება და ცხოვრების ყოველ-მხრივი წარმატება ერისა; უამისოდ არც სკოლები გვექნება, არც სამშობლო ლიტერატურა და მწერლობა, არც თეატრი და არც სხვა რამ, რაც ერს ერად ხდის და კაცს კაცად. ნივთიერი კეთილ-დღეობა არის ძალა, რომელიც კაცს და ერს უფრო თავისუფლად, უფრო დამოუკიდებელად და ღონიერად ხდის; ეს თითქმის განსაკუთრებით იმისთანა ერზედ ითქმის, რომელსაც თავის საკუთარი სამშობლო აქვს, რომელიც ამასთანავე, სხვა მხრითაც დაჯილდოებულია ბუნებისაგან, როგორც მაგალითად: მშვენიერის სამშობლო ქვეყნით, კეთილშობილურის ხასიათებითა და მდიდარის ისტორიულის წარსულით...

## ახალი ამბები.

ამ დღეებში ჩვენს ქალაქში საიდგამლაც გაჩნდა ერთი ვიღაც მკითხავი ქალი დონნა ანნა მილანა, რომელიც დიდის აფიშებით აცხადებს, რომ ინდოეთში და ეგვიპტეში შემისწავლია ხელობა და მაგნიტიზმისა და ელექტრონის საშუალებით წარმოდგენებს ვმართავო.

ჩვენ ვნახეთ რამდენიმე პირი, რომელიც ამ დონნა ანნასთან ყოფილან საკითხავად, თავის წარსულ თავ-გადასავლის და მომავალის ბედისა და, როგორც ამათ ნალაპარაკევიდამ სჩანს, ეს მკითხავი ქალი ისეთივე გაიძვერა უნდა იყოს, როგორც ჩვენი ძოღლი ნინო და სხვები ამის მოგვარო.

ჩვენ გვითხრეს, რომ ჩამოსვლისათანავე ამ მკითხავს ოთხასი მეტი მუშტარი გამოსჩენია, მომეტებული ნაწილი დიდ-კაცობა და დიდ-კაცის ქალები. თითო ვიზიტში მანეთს იღებს.

გასაკვირველად მიგვაჩნია, რომ ასე აშკარად ეწეოდეს ადამიანი ამისთანა მატყუარა ხელობას, ესე ცხადად სცარცვავდეს უმეცარ და ცრუ-მორწმუნე ხალხსა და პოლიცია ხმას არ იღებდეს, არ უკრძალავდეს ამას.

* * *

ამბობენ, რომ ქვა-გუნდის მწარმოებლებს ზემო-იმერეთში დროებით შეუჩერებიათ მუშაობა, რადგან ერთობ ბევრი ქვა-გუნდა მიუზიდავთ სხვა-და-სხვა კამპანიებს ინგლისში და ამის გამო ფასი დაწეულა.

* * *

ბათომიდამ იწერებიან, რომ იქაურს ახლად გახსნილს სამ-კლასიან სასწავლებელში ამ ჟამად ოც-და-ათ ყმაწვილამდინ დაიარებაო.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში თბილისის პატივცემულის ექიმის სოლომონ ამიროვისაგან გამოცემული რუსული წიგნი **„Замѣтки объ ощущеніяхъ и страстяхъ“** („შენიშნვები შეხებათა და ვნებებზედ“), სახალხო ნაამბობი მშობლებისა, აღმზრდელებისა და ჭაბუკთათვის.

ეს წიგნი ისე კარგად არის შედგენილი, ისე ცხოვლად დაწერილი, რომ ყველა გაიგებს და ყველა, ვინც კი წაიკითხავს, უეჭველია, სარგებლობას ნახავს იმის გაცნობით.

გამოცემა გვარიანია, არც ფასია ძვირი—ეგზემპლიარი 1 მანეთად იყიდება.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ არც სხვა ქუჩებია მაინც-და-მაინც კარგი ჩვენის ქალაქისაო, მაგრამ ის ქუჩა კი, რომელიც ახალ (წითელ) ხიდიდამ ძველ ჯაჭვის ხიდამდინ მიდის ფერმისაკენ, ისე გაფუჭებულიაო, არა თუ ფაიტონს, ქვეითსაც უჭირს იმაზედ სიარულიო. განსაკუთრებით ღამე, რადგან ფანრები სამყოფად არ ანთია, საშიშოა ამ გზიდამ გადავარდნაო რიონის ნაპირასო.

კორრესპონდენტი ქალაქის გამგეობის ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებაზედ...

* * *

ქიზიყიდამ შემდეგი შენიშნვა მივიღეთ:

„წარსულს კვირაში სიღნაღის მაზრაში სოფ. ჯუგაანს გახლდით და ერთი ახირებული სცენა ვნახე.

„ხსენებულს სოფელში ჩამობრძანდენ ბატ. სიღნაღის მაზრის პრისტავი და ექიმი. ბატ. პრისტავმა უბრძანა მამასახლისს, მოაგროვე რაც ამ სოფელში ძველი და ახალი ტყავი იყოსო და წარმოგვიდგინე აქაო. რასაკვირველია, რომ მამასახლისი მათს ბრძანებას ვერ ვადაუდგებოდა და წავიდა მოსაგროვებლად ტყავებისა. მოაგროვა კიდეც და წარუდგინა მათ პატრონებითა.

„პატრონებს ეგ განკარგულება არ მოეწონათ და დაიწყეს ტირილი, რომ დიდი უბედურება იქნება ეგ ჩვენთვისო, მთელი ზამთარი ფეხშიშველი უნდა ვიაროთო, თუ რომ ეგ ტყავები წაიღეთო. მაგრამ პრისტავმა გამოუცხადათ, რომ ჩვენ ტყავებს არ წავიღებთო, მხოლოდ უნდა დავწვათო ამიტომ, რომ აქ ამას წინეთ ყოფილა ჭირი პირუტყვისაო და სხვებსაც გადაედებათო. ამისათვის უმეტესად გაჯავრდენ იქაური გლეხები და დაიწყეს თხოვნა, რომ არ დაეწვათ ტყავები.

„—ბატონო, რისთვის უნდა დასწვათო, როდესაც ხორცით ცოლშვილი დავასუქეთო და არა დამართნიათ-რაო და ტყავმა რა უნდა გვიქნასო!

„მაგრამ ამას არ მიაქციეს ყურადღება, მოუკიდეს ცეცხლი და სულ ერთიანათ დასწვეს ტყავები.“

* * *

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ამ დღეებში იცვალა ბინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიამ; იგი გადატანილი იქმნა მეორე ნაგორნის ქუჩაზედ, № 9 ფარუხოვის სახლებში, ზემო სართულში.

## უცხოეთი

შვეიცარია. შვეიცარიის გაზეთების სიტყვით, თაეიანთი სხდომები სოციალისტებს მშვიდობიანად მიჰყავთ. სხვა-და-სხვა დელეგატებს [illegible] სხდომებზე ანგარიში [illegible] სოციალისტთა მდგომარეობაზედ. ზოგიერთ წევრთა მოთხოვნილება, რომ სხდომების ზალა წითლად იყოს მორთული, არ დააკმაყოფილა გამგეობამ სხდომებისა. აგრეთვე უარ-ჰყო ერთი წევრის, რეკოუს წინადადება რევოლიუციურ ჯარის შედგენაზედ. მუშებისადმი მანიფესტის გამოცემა შემდეგისათვის გადიდვა. და ბოლოს დაადგინეს დასკვნა, რომლის დედა აზრია: „რადგანაც განქრნენ დრონი ოცნებისანი და თანამედროვე სოციალისტებთ სჯერათ, რომ მიუცილებლად საჭიროა პოლიტიკურად და ისტორიულად მომზადება და ნამდვილად გამოხატვა მათი მოქმედებისა, ამიტომაც უმახლობელი მიზანი ამათთვის იქნება შემდეგში: 1) ფიზიკური და გონებითი განათლება პირთა საზოგადოების ხარჯით; 2) საზოგადოებისთვის მინიჭება მოქმედებისა და-სხვა-და-სხვა ცნობების გავრცელების უფლებისა; 3) სამართლიანი დასაჩუქრება მუშა ხალხთა მათის შრომისათვის; 4) რადგანაც საზოგადო მანიფესტის გამოცემისათვის მუშების წრეებთ შორის თანხმობა არის საჭირო, ამიტომაც მომავალისთვის კრება, რომელიც მოწვეული იქნება საფრანგეთის მუშებისაგან და რომელზედაც მუშებიც დაესწრებიან, განიხილავს ამ საგანს. პოლშის დელეგატებთა შორის, რომელთაგან გალიციელები ითხოვდნენ, რომ სოციალურ კითხვას ნაციონალური აგიტაციაც მივაკედლოთო, უკმაყოფილება მოხდა და კონგრესმაც მიუგო ამაზედ, რომ მუშების განთავისუფლებისათვის ბრძოლა არის ბრძოლა კლასებთა შუა და არა ნაციონალური.

## პასუხის პასუხი ბ. ალექსანდრე მაღარსკის.

„დროების“ № 195-ის ნახევარ გვერდი სულ თქვენ კორრესპონდენციას მონდომია: პასუხი ჩემდამო მომართული ძალიან გაგიჭრელებიათ;

---

სასურველია, რომ უფრო ნამდვილი ცნობა გვქონდეს, არა თუ ამაზე, არამედ პოეტის ცხოვრების ყოველს გარემოებაზედ.

ვ. უმიკაშვილი.

## ერთი სამწუხარო შემთხვევა.

(წერილი ქუთაისიდამ)

ჩვენს საქართველოში ერთი სანაქებო ჩვეულებათაგანი იყო სტუმრის მოყვარეობა და მასპინძლისაგან თავის გამოდება თავის სტუმრისათვის.

ჩვენ-და-სამწუხაროდ, როგორც ყოველისფერში დავტრიალდით უკუღმა და დავივიწყეთ ყველა ძველებური ჩვეულებანი, ისე ეს უკანასკნელი ჩვეულებაც გადავაგდეთ. ამისი მაგალითი იყო ამ დღეებში ქ. ქუთაისს.

ხომ მოგეხსენებათ ზოგიერთებისაგან აქ თავის აგდება და სულ მუშტზედ ყურება. დიახ, აქ გახლავან ხალხი, რომელნიც უმიზეზოდ, ისე მარტო დროს გასატარებლად აგიტეხსთ ჩხუბს და, თუ თავის კბილისა შეხვდით, კიდეც გაგბერტყავს ლაზათიანად და ხმასაც ვერავინ გასცემს იმათ.

აქ იყო ისეთი მაგალითები, რომ ცხენიანმა კაცმა მათრახით ტყავი გააძრო საპატიო ქალებს; აქ ყოფილა მაგალითები, რომ ბულვარზედ არამც თუ ერთი ერთმანეთისათვის ცხვირპირი ჩაუმტვრევიათ, იარაღითაც-კი და დაუჩეხიათ; აქ ისეთი მაგალითებიც ყოფილა, რომ მძინარე ხალხს სახლში შესცვივნიან შუა ღამისას, იქ მდგმურები მიუმკვდარებიათ და ეს სულ რისთვის?... იმისთვის რომ უსაქმურს ხალხს დრო გაეტარებინა. ბიჭებისა და იზვოჩსიკების ცემას ხომ ანგარიში აღარა აქვს.

მოგეხსენებათ, რომ ამ დღეებში აქ მოვიდნენ არამც თუ მარტო უბრალო პატივის-ცემის ღირსნი, როგორც სტუმრები, არამედ ღირსნი როგორც ნასწავლნი მეცნიერნი, რომლებიც ქვეყანას დაუმტკიცებენ, რომ კავკაზიაც ოდესმე ყოფილა რამე და ჰქონია თავის წარსული, ის წარსული, რომელსაც ზოგიერთნი ისე ამცირებენ თავისის უმეცრებით. ეს გახლდნენ არხეოლოგიის საზოგადოება.

ქუთაისს არ უნდოდა სხვა ქალაქების ჩამორჩენა და ამისათვის ვაგზალშივე დახვდა მუზიკით და ჩირაღდნით, გაუმართა სატანციო სალამო, სადილი და სხვა და სხვ. მაგრამ ეს ყველა სხვა ქალაქებსაც შეეძლო, ქუთაისს-კი უნდოდა უეჭველად გამოეჩინა ისეთი რითიმე თავი, რომელიც სხვა ქალაქებს ვერ შესძლებოდა. ამისათვის, სხვა და სხვა ჩერქეზული იარაღის და ჩაცმის გამომგონმა, გამოიგონა ისეთი სტუმრის დახვედრა, რომელიც სამუდამოთ დახსომებოდათ საპატიო სტუმრებს. ადგა ეს განთქმული ბერუჩაშვილი და ლაზათიანად მიამტვრია ერთი იმათაგანი!.. და მართლათაც რა რიგი დახვედრა უნდა მოევონა, რომ ასე დახსომებოდათ სტუმრებს!

სცემა, გათავდა და საქმემ ჩაიარა; ვითომც არაფერი. მე არ ვამბობ: რატომ ადმინისტრაციამ არ მიიღო რომელიმე განკარგულება, მაგრამ, საზოგადოება, საზოგადოება მაკვირვებს მე!..

წარმოიდგინეთ, რომ ბერუჩაშვილი სცემს, ჯერ მთელი საქართველოს და მეორე იმერეთის სტუმრებს და საზოგა-

მჭევრ-მეტყველობა და გულის ხმა მეტად კარგი გქონიათ, და თუ დაადგებით სწორ გზას, დასწერთ ნამდვილს გარემოებას, იქონიებთ სახეში, რომ ჭეშმარიტების შეცვლით ავნებთ მკითხველის სმენას, პატიოსანის პუბლიცისტის სახელს დაიმსახურებთ.

თქვენ გარდასულხართ მთავარ აზრს ჩვენის ლაპარაკისას და ჩასციებიხართ ჩემს „დელო პროიზვოდიტელობას,"— თქვენი ნებაა, მაგრამ მე კი ეს დელო პროიზვოდიტელობა, თქვენც იცით, მაღალ ხარისხად არ მიმაჩნია.

მე და თქვენ ვგონებ, საკმაოდ ვიცნობთ ერთმანეთს,—როგორათაც ბევრი სხვა ჩვენ ორთავეს გვიცნობენ,—და ნუ გეწყინებათ თუ ყურს არ უგდებ იმ დაცინვას, რაც პირადათ მე შემეხება და მხოლოდ მივმართავ უმთავრეს ჩვენს საგანს.

ჩემი პასუხი გამოიწვია თქვენი კორრესპონდენციის იმ უმთავრესმა სიცრუემ, რომ თქვენ ამბობდით:

„ხიდისთავის მამასახლისი უკანონოდ დასაჯა გორის მაზრის უფროსმა შვიდი დღით სატუსაღოში ჩამწყვდევით და ამის გამო მამასახლისის ცოლს მუცელი გაუცუდდაო."

ამ თქვენის განგებ შეცდომის გასწორება საჭიროდ დავინახეთ და გაცნობეთ, რომ „მამასახლისი დაისაჯა სამის დღით და არა შვიდის დღით და იმის ცოლს „მუცლის გაცუდება" სიზმარშიც არ უნახავს-თქო." მე არ მიკვირს თქვენგან, რომ თქვენს პასუხში გვერდი აგიქცევიათ ამ შეცდომისათვის და სრულებით გაჩუმებულხართ; ეს სიცრუე მით უფრო არ გეპატიებათ, რომ თქვენ და მამასახლისი ერთსა და იმავე დროს, ერთს ოთახში ემწყვდიეთ სატუსაღოში, და ნუ თუ სამი დღე შვიდ დღეთ გეჩვენათ.

მე მამტყუნებთ იმაში, რომ ათი ყევარ-ხარიანი ურემი, ოც ულელ ხარიანად მგონია. რომ თვითონ მამასახლისისათვის გეკითხათ, ის აგიხსნიდათ, რომ ერთი ყევარ-ხარიანი ურემი უდრის ორს ურემს ულელ-ხარიანს, რადგანაც ულიანზედ დაწესებულია დაედოს სიმძიმე ოცდა ხუთი ფუთი და ყევრიანზედ ორმოც-დაათი ფუთი; აგრეთვე ულელ კამეჩიანი ურემი ითვლება ყევარ-ხარიანათ.

ხიდისთავის მამასახლისს მიეწერა სასამართლოდგან ბრძანება წარმოედგინა სამს მკათათვეს ათი ურემი ყევარ-ხარიანი, პოლკის ბარგის წასაღებათ; სამის მკითათვის მაგიერად მამასახლისმა წარმოადგინა ოთხს მკათათვეს შუადღისას ოთხი და სალამოს სამი, სულ შვიდი ურემი ულელ ხარიანი, მაშინ როდესაც იმას უნდა წარმოედგინა ათი ყევარ ხარიანი. ამის გამოისობით მამასახლისს მეორე ბრძანება მიუვიდა წარმოედგინა თექვსმეტი ურემი ულელ ხარიანი*); აქედგან სჩანს, რომ ეს ბრძანება დაწერილია მაშინ, როდესაც მამასახლისისაგან გამოვიდა მხოლოდ ოთხი ურემი.

ჰკითხეთ ხიდისთავის მამასახლისს: თექვსმეტი ულელ ხარიანის ურმის მაგიერად, მაგას რომ წარმოედგინა რვა ურემი ყევარ ხარიანი, ჩაითვლებოდა თუ არა თექვსმეტ ურმად?—ეს ასეა, ძველადგანვე დადებულია ეს წესი, და ამ ნაირად ცნობილნი არიან, როგორც ხიდისთავისა, აგრეთვე სხვა მამასახლისები გორის უეზდისა; მეურმეებს გზის ხარჯი ეძლევათ ულელ ხარიანს სამი და ყევარ ხარიანს ექვსი კაპეიკი ვერსზედ.

ხიდისთავის მამასახლისი დაისაჯა, განგიმეორებთ, აი რისთვის: 1) ნაცვლად ათის ურმის ყევარ ხარიანისა, წარმოადგინა შვიდი ულელ ხარიანი, ისიც დანიშნულს დროს არა; 2) სრულებით ყური არ უგდო და არ შეასრულა მეორედ გაგზავნილი ბრძანება, რის გამო პოლკი მთელი დღე შეჩერდა და დაიძრა მაშინ, როდესაც აღელვებულ ლიახვში დიდის გაჭირვებით გამოვიდა ტინისიდიდგან შვიდი ურემი ბედაურ კამბეჩებით შებმულები; 3) სიცრუისათვის — „ხიდისთაველებმა გზას ვერ მოაგნესო", მაშინ როდესაც თვითონ ხიდისთავიდგან არც ერთი ურემი არ გამოსულა და ის შვიდი ურემიც, რომელიც ხიდისთავის მამასახლისმა წარმოადგინა, სულ გორიჯვრულების იყვნენ; — ჰკითხეთ გორიჯვრელებს, ტინიხიდელებს და თუ გნებავთ, იმ ორმოც-და-ათ სხვა მეურმეებს, რომლებმაც პოლკის ბარგი წაიღეს და ისინი გეტყვიან, რომ იმათ შორის ხიდისთავიდგან ერთი ურემიც არა ყოფილა.

*) ზოგიერთ სოფლებში იმდონათ პატარა ურმები იციან, რომ ოცს ფუთზედ მეტ სიმძიმეს ვერ დაიდებს და ამ ნაირ ურმებში შეაბმენ ულელ ხარს. აქედგან წარმოსდგა ჩვეულობა ბრძანებისა: „წარმოადგინე ამდონი ყევარ ხარიანი ურემი, ანუ ამდონი (ერთი-ორად) ულელ ხარიანი." ავტ.

თუ მამასახლისი ღირსი არ იყო დასჯისა, აგვიხსენით, ბ. მალარსკი, რა მტრობა აქვს მაზრის უფროსს ხიდის-თავის მამასახლისთან? თუ მტერია, ნუ თუ მეტს სასჯელს ვერ მიაყენებდა? თუ იმას იტყვით, რომ ეს მამასახლისი მე დავაბეზღე და მაზრის უფროსს ცუდად ჩავაგონე იმისი მოქმედება, მერწმუნეთ შესცდებით, ამიტომ რომ ხიდის-თავის მამასახლისთან არავითარი დამოკიდებულობა არა მაქვს, მე იმისი მტერი არა ვარ და არც ვიკადრებ იმის მტრობას.

გადავიდეთ. „არა-მკითხე-მიამბეობაზედ".

თქვენი პირველი კორრესპონდენცია შეეხებოდა რამდონათაც გორის მაზრის უფროსს, უმეტესათ მე, რადგან მე განვაგებ ურმების გამოწვევას და ეს იყო მიზეზი, რომ თქვენი სიცრუე გამოვაშკარავე და არა თუ მქონია სახეში, როგორც თქვენ ფიქრობთ, ჩემი უფროსის მიფერება, რომელსაც ის, თქვენც იცით, არ ისაჭიროებს არც ჩემგან და არც თქვენგან.

კიდევ ერთს მართალს დავძენ ამ ჩემს პასუხის-პასუხს:

უეზდის სასამართლომ მოიყვანა აღსრულებაში სასამართლოს გარდაწყვეტილობა და თქვენ ბრძანდებოდით დეტუსაღებული გორის საპყრობილეში რამოდენიმე თვით. აქედგან მკითხველი დაინახავს, რომ თქვენ არაფრად გეპიტნავებათ ყოველგვარი ადმინისტრაცია და სასამართლოც ზედ, და სწერთ, რაც მოგაფიქრდებათ ენაზედ..

— ა. ჩიკოიძე.

ქ. გორი,
1 ოკტომბერს. 1881 წელს.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამნოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამნოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკუ-

---

დოებაში იპოებიან ისეთნი, რომელნიც ექომაგებიან ბერუჩაშვილს და ამართლებენ იმის მოქმედებას!

ისინი ამბობენ:—„რა საკვირველია, რომ ეცემოს? ქალაქიდგან ვინც-კი კინტო-მინტო იყო, ყველას უყიდნია არხეოლოგიური საზოგადოების ნიშნები, მოსულა აქ და მართლა თავის თავი რადმე მიაჩნიათ."

ჯერ ყველაზედ უწინ, ვარწმუნებ ბერუჩაშვილის მოსარჩლებთ, რომ ნაცემი კინტო არ ყოფილა და არც ეკუთვნის ქალაქის და კავკასიის მცხოვრებს და მაშა სადამე ეგ სიტყვები არ ეწყობა ამ შემთხვევას.

მეორე მოვახსენებ, რომ მართლა კინტოც იყოს, მაინც იმათი სტუმარი იყო და სვინიდისიც, ზდილობაც და ადგილობრივი, ძველადგანვე შემოღებული, ჩვეულებაც მოითხოვს სტუმრისთვის რაოდენსამე დათმობას. განა კინტო რომ ვიყო, იმისათვის ყველას ნება უნდა ჰქონდეს, შუა ქალაქში დაგიჭიროს და ტყავი გაგაძროს?

არა, ბატონებო, ცუდი, სასირცხვილო საბუთებია ეგა და არც ეკადრება თქვენს რაინდულს ვაჟკაცობას.

ამ საქმეზედ ათას რიგად ლაპარაკობდენ და ნამდვილად აი როგორი იყო:

იმ დღეს, რა დღესაც ბელათში უნდა წასულიყვნენ სხვათა შორის ერთს, სხვა ქვეყნებიდგან მოსულს, არხეოლოგიურ კრების წევრთაგანს, რომლის გვარსაც აქ არ ვაცხადებ, რადგანაც თითონაცა მალავს თავის გვარს, ექირავნა ცხენი.

ის ცხენი მიება გარეთ, სასტუმროს კარებზედ. სანამ ოთახიდგან გამოვიდოდა, ცხენი გამქრალიყო. აქეთ მივარდა, იქით მიხდა ეს უცხო ქვეყნის კაცი, მაგრამ ცხენი ველარსად იპოვნა. მაშინ იმან გადაწყვიტა, რომ ცხენი დაიკარგა და კითხულობდა რამდენის გადახდა მოუნდებოდა. დაიჭირა ფაიტონი და იმით გაემგზავრა ბელათში.

როდესაც უკან დაბრუნდა, წარმოიდგინეთ იმისი გაკვირვება, რომ იმისაგან ნაქირავებ ცხენს ბერუჩაშვილის დუქნის წინ ვილაცა პატარა ბიჭი ატარებს. იმან დააყენა ფაიტონი, ბიჭს ჰკითხავს—ცხენი ვინ მისცა და ბიჭიც უპასუხებს ხაზიაინმაო.

— სად არის შენი ხაზიაინი?

— დუქანში.

შედის დუქანში არხეოლოგი და ჰკითხავს ბერუჩაშვილს, თუ ცხენი რათ წაიყვანა?

ამ კითხვისათვის, ბერუჩაშვილი ცემას დაუწყებს, არხეოლოგი გაიქცევა, ცხენი იქ დარჩება.

ნაცემი დამალავს თავის გვარს, ბერუჩაშვილს დაიბარებენ მეორე დღეს პოლიციაში და საქმე გათავდება ამითი; სტუმრები წავლენ, ბერუჩაშვილს ჩვენებას ჩამოართმევენ და თავს დაანებებენ.

აი რა სამუდამოდ დასახსომებლად დაუხვდა ქუთაისის ერთი მცხოვრებთაგანი იმ სტუმრებს, რომლებისთვისაც მთელი ქალაქი შეიძრა. ტყუილი ნათქვამი არ არის: „ერთი გასვრილი .... ორმოცს სხვას გასვრისო".

ა. მოჩხუბარიძე.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Октября 1881 г.

რი და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

## განცხადებანი

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—26)

## ექიმი რეიხი

თვალის ტკივილის ავათმყოფობისა, რომელიც ხუთი თვის განმავლობაში არ იღებდა ავათმყოფებს, ხელახლად იწყებს ექიმობას.

მიიღებს ავათმყოფებს დილის 9 საათიდამ 10-მდინ მუდამ დღე.

ადრესსი ადრინდელი; არსენალის ქუჩა. სახლი № 17.

სამკურნალოში ღარიბებს უფასოდ მიიღებს. (5—2

## ქ. ქუთაისში

ახლათ გაღებულს ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეების მაღაზიაში მიღებულია განსაკუთრებით ყოველ გვარი სამზღვარს გარეთის საქონლები, მაგალითებრ: კაცის, ქალისა და ბავშვების ფეხსაცმელები, ქუდები სხვა და სხვა ახალის მოდისა, პერანგები, კოვთები, მოსასხმელები, ბაღდადები, კასინკები, ხელთათმანები, წინდები, ქამრები, ოქროს ნივთები, ქალის უნაგირები ხავერდისა და ღორის ტყავისა, სტოლისა და ჩაის ჭურჭლები, ჭიქები, სარკეები, კრაოტები, სკამები, ლამპები, საყავეები. პარფიუმერიიდგან: გასალამაზებელი ოროზა და ჭორფლის წამალი ლე-ჟანდესი, პუდრები ორიზა, ველუტანი და ანტეაგრეთვე იყიდება სხვა და სხვა დუხები. ყოველი საქონელი 1-ის ხარისხისა არის და იყიდება უფრო იაფათ ვინემ სხვაგან, ასე რომ თითოეულის მანეთის საღირელს 25 კაპეიკამდის აკლებენ. (5—3)

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

## ჭყონია

ქ. ქუთაისში

მიიღებს სამოქალაქო საქმეებს საწარმოებლად ყველა სასამართლოებში, რომელნიც ექვემდებარებიან ქუთაისის ოლქის სასამართლოს, და აგრეთვე თფილისის პალატაში. სადგომი აქვს სილაზედ, საკუთარ სახლში. (4—4)

ჩაის მცოდნე, პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—45)

თბი[illegible]ისის სასულიერო სემინარიაში

იხსნება საკვირაო წერა-კითხვი სასწავლებელი აკოლა. ასწავლიან სემინარიის უფროს კლასის შაგირდებმა.

სწავლა მუქთად იქნება, შუადღიდამ მეორე საათის ნახევრამდინ.

შაგირდების წლოვანობას ყურადღებას არ მიაქცევენ. (3—2)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, მოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვავნას გიარები. (100—34)

## აუქციონი

17 და 24 ოქტომბერს 1881 წ. კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზში აუქციონით გაისყიდება ოქრო-ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. (3—3)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალერეიაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი ჩაის ყველგან

— — 1 მ. 10 კაპ.— 1 მ. 40 კაპ.

— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.

— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.

— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.

— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.

საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—47)

ინგლისის მაღაზიაში



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—57)

## ანგარიშის მდგომარეობა

იაგორ კასუმოვის და კამპ. სავაჭრო სახლისა

1 დეკემბრისთვეს 1881 წ.

დებეტი

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| ნაღდი კასსაში . . . | 707 | 02 |
| %₂ ქაღალდები ამხანაგობის საკუთრება . . . | 26.260 | 68 |
| სპეციალ მომდ. ანგარ. კომერც. ბანკში % ქაღალდებით უზრუნველ ყოფილნი . . . . . . | 4735 | 06 |
| საწევროდ შეტანილი თფ. საურთი-ერთო ბანკში . | 30 | „ |
| ვექსილებით გაცემული ფული 2 და 3 თავდების ხელის-მოწერით . . . | 102,813 | 30 |
| პროტესტიანი ვექსილები | 1938 | 24 |
| % ქაღალდების გირაოთ გასესხებული . . . . | 16,149 | 14 |
| საქონლის გირაოთ გასესხებული . . . . | 374 | 95 |
| უკან დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . | 6866 | 20 |
| % მიცემული % ქაღალდების მეორედ დაგირავებისთვის . . . . | 1169 | 73 |
| — ვექსილების დასაგირავებლად . . . . . | 185 | 18 |
| — სპეციალურ მიმდინარე ანგარიშში . . . | 239 | 93 |
| — დროებით შესანახად შეტანილ ფულისა . . | 91 | 25 |
| — მოთხოვნამდინ შეტანილ ფულისა . . . . | 142 | 97 |
| — მიმდინარე ანგარიშისა პირობით და შესანახი | 504 | 46 |
| — უძრავ მამულების იჯარისა . . . . . | 37 | 64 |
| — მოძრავი ქონება ამხანაგობისა . . . . | 1630 | 72 |
| — % მოგებიან ბილეთების სტრახისა . . . . | 45 | 80 |
| — მიმდინარე ხარჯი სმეტით . . . . . . . | 6,778 | 52 |
| სულ | 172,301 | 38 |

კრედიტი

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| თავნი ფული ამხანაგობისა . . . . . . | 83,375 | „ |
| ანგარიში თავნი ფულისა 1880 წლიდამ . . . | 73 | 57 |
| — 1880 წლის მიუცემელ დივიდენდისა . . | 198 | 23 |
| — საწევრო ფულისა თფ. საურთი-ერთო ბანკისა 1880 წლის . . . . | 3 | 37 |
| — სარეზერვო სარგ. შემოტანილი . . . . | 15,982 | 74 |
| — მიუცემელ % შარშანდელ შენახულ ფულისა . | 17 | 85 |
| — სპეც. მიმდინარე ანგარიში % ქაღ. გირაოთი | 13,924 | „ |
| — ბანკებში გადაგირავებ % ქაღალდებისა . . | 13,960 | „ |
| — თფ. კომერც. ბანკში ვექსილების დაგირავ. . . | 2,000 | „ |
| — ვადებით გაყიდვისაგან % ქაღალდებისა 1881 წლის . . . . | 3,190 | „ |
| — % სხვა და სხვა ოპერაციებისა . . . | 18,461 | 46 |
| — ჯარიმა ვალისთვის დროზე შემოუტანლობისათვის . . . . . | 3,273 | 70 |
| — პოდრიადებისა . . | 858 | 55 |
| — გარდამავალი ჯამი . | 1,067 | 70 |
| — სასწავლებლისათვის ფონდი . . . . . | 24 | 52 |
| სულ . . | 172,301 | 38 |

(3—2)

## ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშხები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—18)

## ისყიდება

ბექანთუბანში კარგი რცხილისა და წიფლის შეშა ნავით ჩამოტანით. მიმართეთ ნ. ჩხეიძეს. (10—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი